

შპს "ქაპ ჯორჯია"
ფინანსური ანგარიშგება 2024 წლისთვის

შპს "ქაპ ჯორჯია"
ს/კ 205233488

2024 წლის ინდივიდუალური (არააუდირებული) ფინანსური ანგარიშგება


2024 წლის მოგება-ზარალისა და სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.....	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება (არააუდირებული)	5
1. ინფორმაცია კომპანიის ბიზნეს საქმიანობის შესახებ.....	6
2. ანგარიშგების მომზადების საფუძველი და შესაბამისობა	6
3. კომპანიის ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	6
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.....	7
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	7
ძირითადი საშუალებები.....	7
არამატერიალური აქტივები.....	8
სასაქონლო მატერიალური მარაგები.....	8
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები.	8
სესხები.....	9
საბიუჯეტო გადასახადები	9
კაპიტალი	9
ამონაგების აღიარება.....	10
სხვა შემოსავალი	10
ხარჯების აღიარება	10
ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები	10
აქტივების და ვალდებულების კლასიფიკაცია მიმდინარე და გრძელვადიანის მიხედვით.....	10
2024 წლის ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები	11

შპს "ქავ ჯორჯია"
ფინანსური ანგარიშგება 2024 წლისთვის

2024 წლის მოგება-ზარალისა და სრული შემოსავლის ანგარიშგება

შპს "ქავ ჯორჯია"			
მოგება-ზარალის ანგარიშგება			
2024 დასრულებული წლისთვის	შენიშვნა	2024 (არააუდირებული)	2023 (არააუდირებული)
ამონაგები მომსახურების და საქონლის რეალიზაციიდან	4	4 414 730	10 348 686
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	5	-4 097 340	-10 426 701
საერთო მოგება		317 390	-78 015
მიწოდების და კომერციის ხარჯები	6	-183 928	-433 122
სხვა საერთო და ადმინისტრაციული დანახარჯები	7	-96 013	-157 394
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		37 448	-668 531
საპროცენტო შემოსავალი	10	54 471	73 988
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	10	285 229	0
მოგება/(ზარალი) კურსთაშორის სხვაობიდან	8	31 969	-54 770
მოგება გრძელვადიანი აქტივების რეალიზაციიდან	10	175 794	0
საპროცენტო ხარჯები	9	-150 429	-164 681
ცვთა და ამორტიზაცია	7	-39 434	-42 251
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		395 047	-856 245
მოგების გადასახადი		0	0
წლის სრული შემოსავალი/(ზარალი)		395 047	-856 245

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის მიერ 2025 წლის 29 სექტემბერს:


 ალექსანდრე იმნაძე
 დირექტორი



შპს "ქაპ ჯორჯია"
ფინანსური ანგარიშგება 2024 წლისთვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შპს "ქაპ ჯორჯია"			
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება			
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით			
	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024 (არააუდიტირებული)	31 დეკემბერი 2023 (არააუდიტირებული)
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები		623 599	694 297
არამატერიალური აქტივები		12 719	12 731
მონაწილეობა სხვა საზოგადოებაში		0	655 283
სულ გრძელვადიანი აქტივები		636 318	1 362 312
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	11	307 467	1 025 053
გაცემული სესხები		96 500	650 962
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12	471 845	1 228 879
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	13	16 512	3 994
სულ მიმდინარე აქტივები		892 325	2 908 888
სულ აქტივები		1 528 643	4 271 199
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		1 436 373	1 595 838
გაუნაწილებელი მოგება/დაუფარავი ზარალი		-1 769 288	-2 164 335
სულ კაპიტალი		-332 916	-568 498
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	14	1 861 558	2 650 408
მოკლევადიანი სესხები	15	0	2 189 288
სულ მიმდინარე ვალდებულებები		1 861 558	4 839 697
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		1 528 643	4 271 199

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის მიერ 2025 წლის 29 სექტემბერს:

ალექსანდრე იმნაძე
დირექტორი



შპს "ქაპ ჯორჯია"			
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება			
(არაუადირებული)	საწედებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/(დაუფარავი ზარალი)	სულ
31 დეკემბერი 2022	1 595 837	(1 308 090)	287 747
მიმდინარე წლის სრული მოგება		(856 245)	-856 245
საწესდებო კაპიტალის შემცირება			0
31 დეკემბერი 2023	1 595 837	-2 164 335	-568 498
მიმდინარე წლის სრული მოგება		395 047	395 047
საწესდებო კაპიტალის შემცირება	(159 465.00)		-159 465
31 დეკემბერი 2024	1 436 372	(1 769 288)	-332 916
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის მიერ 2025 წლის 29 სექტემბერს:			
ალექსანდრე იმნაძე დირექტორი 			

შპს “ქაპ ჯორჯია”

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლისთვის

1. ინფორმაცია კომპანიის ბიზნეს საქმიანობის შესახებ.

ქაპ ჯორჯია (შემდგომში კომპანია) რომელიც წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, დაარსდა 2007 წლის 6 დეკემბერს და არის დამოუკიდებელი ბიზნეს ერთეული. მისი საიდენტიფიკაციო ნომერია 205233488.

შპს ქაპ ჯორჯიას ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ქართული თხილისა და კაკლის ადგილობრივი და არადგილობრივი რეალიზაცია, ღვინის წარმოება და რეალიზაცია, სასტუმრო მომსახურება. კომპანიას ჰყავს 31 დასაქმებული თანამშრომელი.

მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, საბურთალოს ქ., 37/4, ბ. 35

ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის და სრული საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიის 100%-იან წილის მფლობელები არიან:

სააქციო საზოგადოება COMMODITIES AND PRODUCTS INDUSTRIES-CAP Industries - 51%

ალექსანდრე მოწერელია. – 49%

2. ანგარიშგების მომზადების საფუძველი და შესაბამისობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, ფინანსური უწყისები წარმოდგენილია და დამრგვალებულია ერთეულ ლარში.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე პერიოდს.

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება შესაბამისობაშია მცირე და საშუალო ზომის საერთაშორისო სტანდარტთან (შემდგომში მსს ფასს) საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ მესამე კატეგორიის კომპანიებისთვის დაშვებული მოდიფიკაციის გათვალისწინებით.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე, რომლის შეფასებისას კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ანგარიშს.

3. კომპანიის ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

საქართველოს ეროვნული ვალუტა ლარი არის კომპანიის სამუშაო და წარსადგენი ვალუტა. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციებიდან წარმოქმნილი აქტივებისა და ვალდებულებების გაანგარიშება ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლის კურსის შესაბამისად შესაბამის უცხოურ ვალუტასთან მიმართებით. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორისი სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში. მონეტარული მუხლები გადაანგარიშებულია და წარმოდგენილია საანგარიშო პერიოდის ბოლო დღის გაცვლითი კურსის შესაბამისად, არაფულადი მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2024 და 2023 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებულია შემდეგი კურსები:

	საქართველოს ერ. ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2024 წლის 31 დეკემბერი	2.8068	2.9306
2023 წლის 31 დეკემბერი	2.6894	2.9753

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ბანკებში არსებულ ფულად სახსრებს ან/და დეპოზიტებს, ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული მომსახურების ან/და საქონლის მიწოდების საფუძველზე მომხმარებლებისგან და მყიდველებისგან მისაღები თანხები, რომელთა მიღება მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან უფრო მცირე პერიოდში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია გარიგების ფასით, შემდგომში შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების ანარიცხის გამოკლებით. კომპანიას არ აქვს შექმნილი საექვო და უიმედო ვალების რეზერვი რადგან არ არსებობს ობიექტური გარემოება, რომ რომ კომპანია ვერ შეძლებს არსებული სავაჭრო მოთხოვნების მიღებას.

ძირითადი საშუალებები.

- **აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. ხოლო შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება/ზარალი რომელიც შესაძლოა წარმოიშვას ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

- **შემდგომი დანახარჯები.** დანახარჯები, რომელიც გაიწევა აქტივის ფუნქციონირების განმავლობაში ემატება აქტივის მიმდინარე ღირებულებას (ან აღიარდება ცალკე აქტივად), თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს ამ აქტივიდან/გაუმჯობესებიდან, ამასთან მისი ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელი უნდა იყოს საიმედოდ. შეკეთების და რემონტის ხარჯები ითვლება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ პერიოდში, როცა მოხდება მათი გაწევა.

- **ცვეთა და მომსახურების ვადები.** აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადა გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ზემოაღნიშნული დაშვების გათვალისწინებით და საჭიროების შემთხვევაში შესაძლოა შეიცვალოს.

ძირითადი საშუალებაზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება მენეჯმენტის მიერ განსაზღვრული მიზნების შესასრულებლად და მასზე ცვეთის დარიცხვა წყდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მენეჯმენტმა განიზრახა მისი გაყიდვა და ამისთვის გადადგა აქტიური ნაბიჯები, ან/და ადგილი აქვს მისი აღიარების შეწყვეტას.

ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ცვეთა არ ერიცხება მიწას და დაუმონტაჟებელ მოწყობილობებს.

კომპანიის კუთვნილი ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი

	სასარგებლო მომსახურების ვადა-წელი
შენობა-ნაგებობები	10
მანქანა-დანადგარები	10
ოფისის აღჭურვილობა	5
სხვა ძირითადი საშუალებები	3-5

არამატერიალური აქტივები.

- **აღიარება და შეფასება.** არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე სააღრიცხვო პროგრამებს. ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.
- **ამორტიზაცია.** ამორტიზება უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, მაგ., როდესაც ის იმყოფება იმ ადგილზე და იმ მდგომარეობაში, როცა მისი გამოყენება შესაძლებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნით. შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზებადი თანხა სისტემატურად უნდა გადანაწილდეს მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

ბიოლოგიური აქტივები

ბიოლოგიური აქტივები. მრავალწლიანი ნარგავების აღრიცხვისათვის კომპანია იყენებს თვითღირებულების მოდელს. თვითღირებულების მოდელი მოიცავს შეძენის ფასსა და მასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც გაიწია მრავალწლიანი ნარგავების იმ მდგომარეობაში მოსაყვანად, რაც დასახული იყო ხელმძღვანელობის მიერ.

სასაქონლო მატერიალური მარაგები.

კომპანიის სასაქონლო მატერიალური მარაგების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულებაში შეიტანება შესყიდვისა და ყველა ის დანახარჯი, რომელიც გაიწევა მათ ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის კომპანია ახდენს მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების განსაზღვრას და საჭიროების შემთხვევაში, თუკი ეს უკანასკნელი ნაკლებია თვითღირებულებაზე, მარაგებს წარმოადგენს ნეტო სარეალიზაციო ღირებულებით.

კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები.

სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

შპს “ქაპ ჯორჯია” ფინანსური ანგარიშგება 2024 წლისთვის

სესხები.

სესხები თავდაპირველად აღიარებულია მომავალი გადახდების დისკონტირებული ღირებულებით, შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

საბიუჯეტო გადასახადები

მოგების გადასახადი - საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში იბეგრება განსხვავებული წესით. კერძოდ იბეგრება მხოლოდ განაწილებული მოგება და ისიც მხოლოდ იმ პარტნიორებზე, რომლებიც წარმოადგენენ ფიზიკურ პირს ან/და არარეზიდენტ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს. მოგების გადასახადის განაკვეთია 15 %. დივიდენდების გადახდით /მოგების განაწილებით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, რა პერიოდში მოხდა მათი ანაზღაურება. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. კომპანიის მფლობელებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების/ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც სსკ-ს მიერ განიხილება მოგების განაწილებად და იბეგრება გარიგების დადების პერიოდში მოგების გადასახადის 15 % განაკვეთით (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, დოკუმენტურად დაუდასტურებელი ხარჯები, არარეზიდენტ პირებთან განხორციელებული გარკვეული გარიგებები და ა.შ.). ამ ტიპის ოპერაციებზე დარიცხული მოგების გადასახადი აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და მოგება ზარალის ანგარიშგების წარმოდგენილია სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში.

საპენსიო მოსაკრებელი.

2018 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ, რომლიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან. საპენსიო სისტემაში ჩართული დასაქმებული პირი სახელმწიფო ბიუჯეტში იხდის მისი სახელფასო ანაზღაურების 2%-ს; კომპანია ვალდებულია დააკაოს აღნიშნული 2 პროცენტი თანამშრომლის ხელფასიდან და მოახდინოს მისი ჩარიცხვა ბიუჯეტში. ამასთან ერთად, დასაქმებული თავის მხრივ, დაქირავებულის სასარგებლოდ დამატებით იხდის 2%-ს რომელიც ხარჯად აღიარდება ხელფასის ხარჯის დარიცხვასთან ერთად და წარმოდგენილია ადმინისტრაციულ ხარჯებში.

დამატებული ღირებულების გადასახადი.

სსკ-ს მოთხოვნების შესაბამისად, საქონლის ან მომსახურების მიწოდებიდან წარმოქმნილი გადასახდელი დღგ გადასახდელია ბიუჯეტში მაშინ და იმ საანგარიშო პერიოდის სავადო თარიღში, რომელ საანგარიშო პერიოდშიც განხორციელდა შემდეგი ოპერაციები: მყიდველმა, საქონლის ან მომსახურების მიწოდების სანაცვლოდ, (რომელიც იბეგრება დღგ-ს გადასახადით) მიწოდებამდე მიიღო კლიენტებისგან კომპენსაცია სრულად ან/და ნაწილობრივ ან/და განახორციელა საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ის 18 % იანი განაკვეთით დაბეგვრას ან გაწეულ ხარჯებზე შესაძლებელია გადახდილი დღგ-ს ჩათვლა, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

კაპიტალი

ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება

დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

ამონაგების აღიარება

ამონაგები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს გაწეული მომსახურების ან/და საქონლის მიწოდების სანაცვლოდ მისაღები თანხის ოდენობას, კომპანია აღიარებს ამონაგებს, როდესაც ამონაგების ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ განხორციელებული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

•

ხარჯების აღიარება

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება იმ შემთხვევაში თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რაც გამოიხატება კომპანიის აქტივების შემცირებით ან/და ვალდებულების ზრდით. და რომელა შეფასებაც საიმედოდაა შესაძლებელი.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

აქტივების და ვალდებულების კლასიფიკაცია მიმდინარე და გრძელვადიანის მიხედვით

კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე და გრძელვადიანი კატეგორიად.

• აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის;
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში;
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყიდულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში;

შპს "ქაპ ჯორჯია"

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლისთვის

- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის;
 - მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში;
 - არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ.
- სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

2024 წლის ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

ამონაგები მომსახურების და საქონლის 4 რეალიზაციიდან	2024 (არააუდირებული)	2023 (არააუდირებული)
თხილი ნაჭჭეცლილი	3 976 875	9 956 576
ღვინის რეალიზაცია	74173	65 531
სხვა საქონლის და მომსახურების მიწოდება	80 278	69 681
სხვა საოპერაციო შემოსავლები მოსავალი	283 404	256 899
	4 414 730	10 348 687
5 რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	3 709 141	9 997 689
სხვა საოპერაციო დაპირდაპირი ხარჯები	388 199	429 012
	4 097 340	10 426 701
6 მიწოდების და კომერციის ხარჯები		
ქვეყნის შიგნით/გარეთ ტრანსპორტირებისა ხარჯები	127 995	283 234
მიწოდების ხარჯები	55 933	149 888
	183 928	433 122
7 სხვა საერთო და ადმინისტრაციული დანახარჯები		
ადმინისტრაციის ხელფასები		
კომუნიკაცია და კომუნალური დანახარჯები	13 195	15 099
საკონსულტაციო ხარჯები	43 400	47 085
სხვა საგადასახადო ხარჯი	19 662	18 642
საბანკო ხარჯები	6 140	17 127
საიჯრო ხარჯი	-	2 542
სხვა საერთო ხარჯი	53 050	99 150
	135 448	199 645
8 მოგება/(ზარალი) კურსთაშორის სხვაობიდან		
შემოსავალი დადებითი საკურსო ცვლილებიდან	180 791	209 580
ხარჯი ურყოფითი საკურსო ცვლილებიდან	(148 822)	(264 350)
	31 969	(54 770)
9 საპროცენტო ხარჯები		
რეზიდენტი საფინანსო ორგანიზაციიდან (ბანკი)	150 429	164 681
მიღებული სესხის პროცენტი ეროვნულ ვალუტაში		
	150 429	164 681
10 სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		
სხვა შემოსავალი მათშორის დაზღვევა და ძირითადი საშ. გაყიდვიდან	461 023	-
საპროცენტო შემოსავლები	54 471	73 988
	515 494	73 988

შპს "ქაპ ჯორჯია"
ფინანსური ანგარიშგება 2024 წლისთვის

ძირითადი საშუალებების უწყისი						
შემენის ღირებულება	მიწის ნაკვეთები	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა და ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალება	სულ
31 დეკემბერი 2022	149 123	552 554	212 295	95 337	22 050	1 031 359
შემოსვლა წლის განმავლობაში			7 444	11 633	1 559	20 637
გასვლა წლის განმავლობაში						-
31 დეკემბერი 2023	149 123	552 554	219 739	106 970	23 609	1 051 995
შემოსვლა წლის განმავლობაში			362	2 972		3 334
გასვლა წლის განმავლობაში	-20104		(37 756)			(57 860)
31 დეკემბერი 2024	129 019	552 554	182 344	109 943	23 609	997 469
დაგროვილი ცვეთა						
31 დეკემბერი 2022		(221 457)	(107 172)	(80 025)	(17 451)	(426 106)
წლის მანძილზე დარიცხული ცვეთა		(20 874)	(11 431)	(8 280)	(1 654)	(42 238)
გასული ძირ. საშუალებების დაგრ. ცვეთა						-
31 დეკემბერი 2023	-	(242 331)	(118 603)	(88 305)	(19 105)	(468 344)
წლის მანძილზე დარიცხული ცვეთა		(20 136)	(10 864)	(6 675)	(1 746)	(39 421.58)
გასული ძირ. საშუალებების დაგრ. ცვეთა			23 075			23 075.17
31 დეკემბერი 2024	-	(262 467)	(106 392)	(94 980)	(20 851)	(484 691)
წმინდა საბალანსო ღირებულება						
31 დეკემბერი 2023	149 123	310 223	101 136	18 665	4 504	583 651
31 დეკემბერი 2024	129 019	290 086	75 952	14 962	2 758	512 778

შპს "ქაპ ჯორჯია"

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლისთვის

	2024	2023
	(არააუდირებული)	(არააუდირებული)
11 სასაქონლო-მატერიალური მარაგები		
მზა პროდუქცია	307 467	1 025 053
	307 467	1 025 053
12 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		
სავაჭრო დებიტორული მოთხოვნები	407 875	994 290
მოთხოვნები გაცემული სესხიდან	96 500	650 962
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	43 372	45 623
	547 747	1 690 874
13 ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები		
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	-	-
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	9 635	3 994
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	6 878	1
	16 512	3 994
14 სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		
კრედიტორული დავალიანებები	94 986	606 596
მიღებული ავანსები	1 776 812	2 034 529
გადასახდელი ხელფასები	8 791	4 862
საგადასახადო ვალდებულებები	1 449	35 675
სხვა ვალდებულებები	-	49 820
	1 879 140	2 660 133
15 მოკლევადიანი სესხები		
რეზიდენტი საფინანსო ორგანიზაციიდან (ბანკი)	-	2 189 288
მიღებული სესხი ეროვნულ ვალუტაში	-	-
	-	2 189 288
16 გრძელვადიანი ვალდებულებები და სესხები		
გრძელვადიანი სესხი	-	-
	-	-